



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1027
25/05/2018

ქალაქი ბათუმი

1027-05-4-201805251302



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტომანქანა „მერსედესი“ სახ. №BBS-505-ის ჯართის სახით პრივატიზებაზე განმეორებით 30%-იანი ფასდაკლებით ელექტრონული აუქციონის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 12 ივლისის №09 დადგენილებით დამტკიცებული „თვითმმართველი ერთეულის-ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესი“-ს, „საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №02 განკარგულების, „მუნიციპალური ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №03 განკარგულებისა და მეორადი სტრუქტურული ერთეულის ქონების მართვის განყოფილების უფროსის ა. ბაჟაშვილის 2018 წლის 23 მაისის №1476-05 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტომანქანა „მერსედესი“ სახ. № BBS-505-ის ჯართის სახით პრივატიზება განხორციელდეს განმეორებით, 30%-იანი ფასდაკლებით ელექტრონული აუქციონის ფორმით.

2. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტომანქანა „მერსედესი“ სახ. № BBS-505-ის საწყისი საპრივატიზებო ფასი განისაზღვროს 224 (ორასოცდაოთხი) ლარის ოდენობით.

3. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადასახდელი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია/„ბე“ განისაზღვროს 68 (სამოცდარვა) ლარის ოდენობით.

4. „ბიჯი“ განისაზღვროს 12 (თორმეტი) ლარის ოდენობით.

5. აუქციონში გამარჯვებულმა ქონების გადასახადი უნდა გადაიხადოს ელექტრონული აუქციონის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში.

6. დამტკიცდეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტომანქანა „მერსედესი“ სახ. №BBS-505-ის ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზაციის შესახებ საინფორმაციო საშუალებებში განსათავსებელი სააუქციონო განცხადება (თან ერთვის).

7. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის ქონების მართვის განყოფილებას.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა

